



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ.ოზურგეთი

N 93

18/07/2017

93-03-4-201707181035



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის და „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს № 1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 17-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და 20-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ინიციატივით, მოწვეულ იქნას საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა მიმდინარე წლის 19 ივლისს 15:00 საათზე (მის. ქ.ოზურგეთი, კოსტავას ქ.№1, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის სამუშაო ოთახი).

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა